http://kancelaria.justice.gov.ge/nom_2_0/2/nomfileserver/GetFile?

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

KA011874844316214

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 , ფაქსი:(+995 32)2-35-79-18, ცხელი ხაზი:(+995 32)2-40-40-20, ელ.ფოსტა:info@psda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

03 / თებერვალი / 2014 წ.

№ 01/438/დ

დ ა ს კ ვ ნ ა

სოსო გეგეჭკორის პირადობის მოწმობის მონაცემებში სახელის გასწორების შესახებ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა განიხილა მოქალაქე **სოსო გეგეჭკორი (პ/ნ 01008027202) 2014 წლის 31 იანვრის** განცხადება N0101714010231 პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის თაობაზე.

საქმისწარმოებით დადგინდა, რომ მოქალაქის სახელზე **გაცემული პირადობის მოწმობის (დ 0441758; გაც.24.12.2003წ; ვაკის სამსახურის მიერ;)** ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მითითებული სახელი და დაბადების თარიღი - **თენგიზ გეგეჭკორი დაბ.14.02.1949 წელს** იყო არასწორი, რაც დასტურდება მოქალაქის სახელზე რეგისტრირებული დაბადების აქტის ჩანაწერით **(აქტი N5; რეგ. 12.02.1949. გეგეჭკორის რ-ნის ნაგვაზაოს ს/ს მიერ)** რომელშიც **მოქალაქის მონაცემებია: სოსო გეგეჭკორი დაბ.12.02.1949 წელს მარტვილი. აქტის იდენტურობა დადასტურებულია 29.01.2014წ. წერილით.**

ა.წ. 29 იანვარს სამსახურს ამნისტიის შესახებ N9965 განცხადებით მომართა მოქ, გეგეჭკორმა სადაც აღნიშნავს, რომ შეიძლება ბავშობაში 6 წლამდე ეძახდნენ სახელს, - სოსო.

ვინაიდან ჩანაწერში მითითებულ მონაცემებს შორის არის მკვეთრი სხვაობა ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ მე–13 მუხლის მე–4 პუნქტით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისისი N98–ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე–2 მუხლის მე–6 პუნქტითა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 სექტემბრის N388/ს ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების საქმიანობის მეთოდური სახელმძღვანელოს დამტკიცების

შესახებ“ 2.2 და 2.3 მუხლით, **25.12.2013 წლის საქართველოს კანონის ამნისტიის შესახებ პირველი მუხლის ,,ა" პუნქტის; მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-4 მუხლის ,,ა" პუნქტით მიზანშეწონილად მიმაჩნია:**

1. დაბადების აქტის ჩანაწერის საფუძველზე **გაიცეს პირადობის მოწმობა მონაცემებით: სოსო გეგეჭკორი დაბ.12.02.1949 წელს მარტვილი**
2. მონაცემთა ბაზაში გაუქმდეს მოქალაქის სახელზე გაცემული **დოკუმენტები** მითითებით **ყალბი სახელი; დაბადების თარიღი.**
3. დასკვნის შესახებ ეცნობოს მოქალაქეს;
4. დასკვნის შესახებ ეცნობოს სსგს შიდა აუდიტის სამსახურს;
5. **ამა წლის 25 დეკემბრის საქართველოს კანონის ამნისტიის შესახებ თანახმად დასკვნა შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს საგამოძიებო ორგანოებს.**

დასკვნა შეიძლება გასაჩივრდეს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების შესაბამისად, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, თბილისი, წერეთლის N67ა

თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის
უფროსის მოადგილე დავით ჩაკვეტაძე

თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის
მთავარი სპეციალისტი ვლადიმერ ტოგონიძე